ახალგაზრდა ეროელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

31 იანვარი ხუთშაბათი 1991 № 12 (11645)

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია



სურათზე: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი ხხდომა.

თამაზ გიგილურის ფოტო.

29 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველმა სესიამ მუშაობა განაგრძო. მისი მორიგი ხხდომა გახსნა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

ინფორმაცია ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებათა ცნობის შესახებ გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი, სამანდატო კომისიისა და სადეპუტატო ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ბიძინა დანბაძემ. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 107-ე მუხლის შესაბამისად, სესიამ მიიღო დადგენილება საარჩევნო ბლოკის „მრგვალი -მაგიდა-თავისუფალი საქართველო“ პარტიული სიით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების რუსლან გიორგის ძე ღონღაძის, ნუგზარ მიხეილის ძე შავთვალაძის, ვახტანგ შალვას ძე ცაგარეიშვილის, ლევან ელიზბარის ძე ახმეტელიისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის სიით არჩეული დეპუტატის გიორგი გიორგის ძე ჩეჩილაშვილის უფლებამოსილებათა ცნობის შესახებ.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის განხილვას. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანმა დეპუტატმა გიორგი გულბანმა, თანამოხსენება გააკეთა უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გივი თაქთაქიშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, ლევარდ ტუხაშვილი, ანდრია აფაქიძე, თეიმურაზ ჭორიძე, ავთანდილ რცხილაძე, გურამ პეტრიაშვილი, ლევან ალექსიძე, ნათელა ქუთელია, ვახტანგ ჭითავა და ზაზა კახიანი.

უზენაესმა საბჭომ მიიღო „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი და დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე. მიღებულია აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონი და დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნების შესახებ კანონის პროექტზე გააკეთა პოლიტიკური ორგანიზაციის „დასის“ თავმჯდომარის მოადგილემ ვახტანგ ხმალაძემ. განხილვის შემდეგ დეპუტატებმა მიიღეს ეს კანონი და დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღებისა და საკრებულოების არჩევნების დანიშვნის თაობაზე. არჩევნები დანიშნულია 1991 წლის 31 მარტისათვის.

სესიამ განიხილა რეფერენდუმის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტი. უზენაესმა საბჭომ მოისმინა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ დავით კუპრეიშვილის ცნობა ამ საკითხზე და მიიღო ეს კანონი, აგრეთვე დადგენილება მისი სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თენგიზ სიგუას, რომელმაც დეპუტატებს გააცნო საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურა.

ამ საკითხზე გამართულ კამათში მონაწილეობდნენ სესიაზე მოწვეული საქართველოს სახაგრომრეწვის სპეციალისტი ლენგი ხარებავა, დეპუტატები ბაკურ გულუა, როინ მეტრეველი, რომან გოცირიძე, მაია მაჭავარიანი, ვახტანგ ჭითავა, თამაზ გუგუშვილი, პაატა კოლუაშვილი და სხვები. ძირითადად მოიწონა რა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მართვის სტრუქტურა, უზენაესმა საბჭომ დაავალა საქართველოს მინისტრთა საბჭოს მისი საბოლოო დახვეწის დროს გაითვალისწინოს დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოადგინოს მორიგ სხდომაზე მოქმედ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები და დამატებები.

უზენაეს საბჭოში ამომრჩეველთა მიერ გამოგზავნილი მრავალი თხოვნის შესაბამისად, სამაჩაბლოს მდგომარეობის შესახებ სესიაზე ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. ამ რეგიონში შექმნილი სიტუაციის სხვადასხვა ასპექტს შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში დეპუტატები ვაჟა ადამია, რობერტ პეტრიაშვილი, ალექსანდრე ვარძელაშვილი, თედო პაატაშვილი, გიორგი ხავთასი, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე.

სესიაზე წამოიჭრა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის შესახებ წინა დღეს ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა „ვრემიათი“ გადმოცემული ინფორმაციის საკითხი, რომელშიც უხეშად იყო დამახინჯებული ფაქტები. ეს ინფორმაცია უარყო დეპუტატმა გივი თალაკვაძემ.

1991 წელს საქართველოს შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის რიგებში წვევამდელთა გაწვევისა და შესაბამისი დროებითი დებულებების საკითხებზე გამოვიდა უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ხავთასი. ამ საკითხის განხილვის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, ვახტანგ ცაგარეიშვილი, არჩილ მინდიაშვილი, ალექსანდრე ვარძელაშვილი და სხვები, სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილებანი. მიღებულია კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) საჭირო ცვლილებების შეტანის შესახებ.

სესიამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა დანიშვნისა და მსაჯულების არჩევნების მოწყობის საკითხი, რომელზეც ილაპარაკა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა. სესიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

უზენაესმა საბჭომ მოისმინა და დაამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მინდია უგრეხელიძის წინადადება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის არჩევისა და მისი პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

სესიამ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან ვ. გ. ლორთქიფანიძის განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 1990 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მოქმედების შეჩერების შესახებ.

30 იანვარს სესიამ მუშაობა განაგრძო.

(საქინფორმი).

რსფსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის

განცხადება

რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი ძალზე შეშფოთებულია საკავშირო ორგანოების მოქმედების გამო, რომ შეიარაღებული ძალები გამოიყენონ მათთვის უჩვეულო ფუნქციების შესასრულებლად.

სამოქალაქო კონფლიქტებში, თანაც რესპუბლიკების ხელისუფლების კონსტიტუციური ორგანოების თანხმობის გარეშე, შეიარაღებული ძალების ჩარევამ უკვე ცხადყო, თუ რაოდენ საშიში და უპერსპექტივოა ასეთი პოლიტიკა. ამ კონტექსტით განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს 1990 წლის 29 დეკემბრის № 493/513 ბრძანება, რომელიც დიდხანს იყო გასაიდუმლოებული არა მარტო საზოგადოებრიობის, არამედ მოკავშირე რესპუბლიკებისთვისაც, და — რომელიც ავალებს ოლქების სარდლებს, გარნიზონების უფროსებს, შინაერთებისა და ნაწილების მეთაურებს „განახორციელონ ღონისძიებანი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გაძლიერებისა და ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლისათვის“.

საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად ბრძანებით გამოცხადებული ღონისძიებანი საგანგებო წესების პირობებზე რეაგირების ადეკვატურია. მაგრამ „საგანგებო წესების სამართლებრივი რეჟიმის შესახებ“ სსრ კავშირის კანონმა დაადგინა, რომ მხოლოდ სტიქიური უბედურებების, დიდი ავარიების ან კატასტროფების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების, აგრეთვე ცალკეულ ადგილებში მასობრივი უწესრიგობის დროს მას აცხადებენ რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები ან სსრ კავშირის პრეზიდენტი ამ ორგანოების თხოვნით, ან თუ მათი მხრივ არ არის თხოვნა ან თანხმობა, თვით სსრ კავშირის პრეზიდენტი, და დაუყოვნებლივ შეაქვს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ამჟამად საამისო საფუძველი არ არსებობს.

ყურადღებას იპყრობს ბრძანების ავტორთა მისწრაფება, იმოქმედონ სსრ კავშირის კონსტიტუციის, ძირითადი სამხედრო კანონების გვერდის ავლით და სამსახურებრივ უფლებამოსილებათა გადაჭარბებით. ყოველივე ეს უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს და ფედერაციის სუბიექტების სახელმწიფო სუვერენიტეტს. უფრო მეტიც, ასეთმა მოქმედებამ შეიძლება პროვოკაციულად გამოიწვიოს ეს გაამძლიეროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია.

რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე პროტესტს აცხადებს ასეთი აქციების წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტმა განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი საკავშირო სამინისტროების ანტიკონსტიტუციური მოქმედების აღსაკვეთად.

თავის მხრივ, რსფსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება მართლწესრიგის განმტკიცებისათვის და საზოგადოებაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკა — პოლიტოლოგია — ტრადიციონალიზმი...

„ფილოსოფიურ-ლოგიკა ჭეშმარიტის მეტყველება არს“ — ჩაგვიჩინებდა ქართველი პოლიტიკოსიც და პოლიტოლოგიც მარად. მხოლოდ ჭეშმარიტების ძიება და წვდომა გადაგვარჩენს ჩვენც და დანარჩენ კაცობრიობასაც, — პირველ რიგში კი ჭეშმარიტი „სიტყვის“ წვდომა. „ძველი გზის დაგდება“ ოდითგან, დამლუპველი იყო კაცთათვის უველანაირად...

ქართული სიტყვაც და ქართული ხაქმეც უნდა დაუბრუნდეს თავის პირვანდელ ბუნებრივ სახეს. პოლიტოლოგიურ ასპექტში ნაუქართველოს დაბრუნება „თავის თავთან“ უნდა ნიშნავდეს ქვეყნის გაუკუღმართებული ბუნებრივ-ისტორიული განვითარების კვლავ მის ძველ ეროვნულ კალაპოტში მოქცევას ეპოქის შესატყვისი ფორმებით. ეს თავის მხრივ, ჩვენგან თხოულობს ძირეული სოციოლოგიური პრინციპების ხელახლა გააზრებასა და ამ გზით ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირების სამსახურში მათ ჩაყენებას. ამ საფუძველზე გაშომუშავებულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების სწორი სტრატეგიული ხაზის გამომუშავება. ამ მიმართებით, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ერის, როგორც ადამიანთა ეთნიკური, ისტორიული და ფსიქო-გენეტიკური მთლიანობის არსის, ძირითადი ნიშნებისა და განვითარების ზოგად კანონზომიერებათა პოლიტოლოგიურ გააზრებას. ასევე ითქმის სახელმწიფოს, როგორც ადამიანთა თანაცხოვრების პოლიტიკური ორგანიზაციის, მისი სხვადასხვა შესაძლო ისტორიული და ეროვნული ფორმების, ზნეობრივი და სამართლებრივი საფუძვლების ოპტიმალური პრინციპების მოძიებასა და დადგენაზე, თუ სამეურნეო განვითარების ძირეულ პრინციპებისა და ტრადიციული (სტრატეგიული) მიმართულებების განსაზღვრაზე და საერთოდ, ე. წ. „ბაზისისა და ზედნაშენის“ თავსმოხვეული მატერიალისტურ-ათეისტური დოგმების მთელი კომპლექსის გადასინჯვასა და ახლებურ გააზრებაზე.

ფახეულობათა მთელი ეს გლობალური გადახინჯვა-გადაფასება ტრადიციონალიზმის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. იგი ჩვენი მომავალი ეროვნული განვითარების ბაწყისად და აუცილებელ წინაპირობად უნდა ვაქციოთ, რამეთუ თვითონ ერიც და ეროვნული ცხოვრებაც სხვა არაფერია თუ არა ამ ტრადიციების ერთობლიობა. ეროვნული სული, მისი ფსიქო-გენეტიკური კოდი უპირველესად ეროვნულ ტრადიციებში განივთდება ხოლმე, ამიტომაც უველაზე ზოგად-ფილოსოფიური გაგებით, ტრადიციონალიზმი ეროვნული სულის გამზეურება დროსა და სივრცეში, ღვთით დადგენილი ერის სავალი გზის ენი და რიგი.

ყოველი ცდა, შეცვლილი იქნას ეს გზა ნებისმიერი სხვა ტრადიციებითა და ცხოვრებისეული პრინციპებით მხოლოდ ეროვნული გადაგვარებით შეიძლება დამთავრდეს. არაერთი ერი დაეცა და დაეცემა მომავალშიც თავისი სავალი გზის გაუკუღმართებით. ებრაელი ერისა და ებრაული სახელმწიფოს გადარჩენის მართლაცდა საოცარი ფენომენი ტრადიციონალიზმის ერთგულებაშია უპირველესად საძიებელი. „იაპონურ ფენომენსაც“ ტრადიციონალიზმის ერთგულებით ხსნიან. **ტრადიციონალიზმის ერთგულებამ უნდა მიგვიყვანოს „ადიქმულ ქვეყანამდე“ მეხამე ათასწლეულს მიღწეული ქართველობაც. ბედმა ხომ ისე ინება, რომ დღეს თავისებურად მეორდება ეამი ფარნავაზისა — ეამი ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახალი შენებისა.**

მომავალი ქართული სახელმწიფოებრიობის ფორმირების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა დაეთმოს ეროვნული ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორიც ეროვნული ეკონომიკისა და პოლიტიკური წყობის ორგანიზაციაა. ეპოქის შესატყვისი ფორმებით მათ სწორ გააზრებასა და გადაწყვეტაზე იქნება ფაქტობრივად დამოკიდებული ქართული ტრადიციონალიზმისა და საერთოდ, მთელი ჩვენი მომავალი ბედი. ზოგად ხაზებში ამ პრობლემების გადაწყვეტა ასე შეიძლება იქნას წარმოდგენილი:

ეროვნული ეკონომიკისა და მისი დარგობრივი სტრუქტურების ფორმირების ბუნებრივი პროცესი მხოლოდ ადგილებიდან — რეგიონალურ ეკონომიკათა განვითარებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი. „სახალხო მეურნეობა“ იმიტომაც ჰქვია, რომ იგი ხალხის თვითმმართველობასა და თვითმოქმედებას, მის ენერგიასა და ისტორიულ გამოცდილებას უნდა დაეყრდნოს და არა ცენტრალიზებული მართვის პრინციპებს. ეროვნული ეკონომიკის ფორმირების სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს.

ერთად უზრუნველყოფს მისდამი ხალხის ეფექტურ კონტროლს. კონსტიტუციური მონარქიის პირობებში საპარლამენტო მართვის ფორმა, როგორც ცენტრში, ასევე საქართველოს ცალკეულ ისტორიულ რეგიონებში, უველაზე მისაღები და ოპტიმალური პოლიტიკური პრინციპია ჩვენი ეროვნული ცხოვრების საერთო-ობიექტური პირობებისათვის. მხოლოდ რეგულარული საპრეზიდენტო არჩევნების გვერდის ავლით შეეძლებთ შეექმნათ დღეს ასე აუცილებელი და ჩვენთვის ტრადიციულად დამახასიათებელი ქვეყნის მართვა-გამგეობის იაფი და ეფექტური მუშა-ხასტემა.

გარდა ამ მთავარი, ასე ვთქვათ, ფსიქო-ისტორიული ხასიათის წანამძღვრისა, არსებობენ კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრებისათვის სხვა მნიშვნელოვანი არგუმენტებიც. **ეს, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივ-სამართლებრივი კატეგორიის არგუმენტია: ღვთისა და ჩვენი საკუთარი ისტორიის წინაშე, ისტორიისა, რომელიც თვითონაც სხვა არაფერია, თუ არა ღვთის ნების გამოვლენა, არავითარი ზნეობრივი და მასთან ერთად, სამართლებრივი უფლება არა გვაქვს ხელაღებით, ყოველგვარი განსჯის გარეშე, ერთხელ და სამუდამოდ უარი ვუთხრათ ბაგრატიონებს თავიანთ ძველ ეროვნულ ფუნქციებზე. პოლიტიკური უზნეობა და ხაყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი, ნორმების დარღვევა არც კაცს ეპატიება და არც ხალხს. და თუ მაინც ხდება ხოლმე ამის შემთხვევები, ისტორიული სამართლიანობა ყოველთვის თავისას მიუზღავს ყველას.** ასე რომ სანთელ-საკმეველი არც აქ კარგავს თავის გზა-კვალს, შორს რომ არ წავიდეთ, ამ ასიოდე წლის უკან პოლიტიკური უზნეობისა და დემაგოგიისადმი ჩვენმა მონურმა მორჩილებამ მთელი საუკუნე ჯოჯოხეთურ სატანჯველში გაგვატარებინა, ე. ი. სწორედ ის მივიღეთ ისტორიისაგან „საჩუქრად“ — ბოლშევიკური ტოტალიზმი, რისი ღირსნიც ვიყავით ღა რის წინაალმდეგაც გვიკიჟინებდა ჩვენგან ზურგშექცეული და „დაწუნებული“ ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია.

ერთი სიტყვით, თუ გვინდა, რომ მართალნი ვიყოთ ღვთისა და ისტორიის წინაშე, ჩვენც არ უნდა დავუშვათ ის შეცდომა, რომელიც ხელისუფლების უზურპაციაზე დაგეშილმა ჩვენმა კუდაბზიკა სოციალ-დემოკრატებმა დაუშვეს: ისე დაკარგეს „ქარით მოტანილი“ ხელისუფლება, ერთხელაც ვერ „გაიხსენეს“ ვის წაართვა რუსეთმა თავის დროზე იგი. „კლასობრივი ბრძოლის“ მარქსისტული დემაგოგიით თავგზააბნეულებს, თვით ფორმალურადაც კი არ დაუნვამთ საკითხი ბაგრატიონების დინასტიისათვის ხელისუფლების ჩამორთმევის შესახებ, თითქოს-და ასეთი ხელისუფლება საქართველოს ისტორიაში არც ყოფილაყოს. ისე რომ, ვგონებ, ბაგრატიონების დინასტია მსოფლიო ისტორიაში ერთადერთ სამეფო დინასტიად რჩება, რომელმაც ხელისუფლება დაკარგა თავისი ხალხის მხრიდან რაიმე პოლიტიკური, ანდა სამართლებრივი აქტის გარეშე, უბრალოდ, ისე, ასე ვთქვათ, „ისტორიული გულმავიწყობით“, თუ უფრო უარესი — „ისტორიული უმადურობით“ არა...

ერეკლე II-ის გარდაცვალებაზე კახეთში შემონახული ფოლკლორული შედევრის ერთ სტროფში ვკითხულობთ:

„ვერ გაგიგიათ ქართველნო,
შეგვეხსნა რკინის კარია,
აღარ გვყავს მეფე ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარია“.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით სტროფში და საერთოდ, მთელ ლექსში გატარებულ მთავარ იდეას, ჩვენი მაშინდელი წინაპრები მარტო მონღოლური ცბიერებით მოტყუებულ პატარა კახს კი არ დასტირიან, არამედ მთელ ბაგრატიონთა გვარს — საუკუნეთა მანძილზე საქართველოს თავისუფლების ამ ერთგულ „ფარ-ხმალს“. **ხალხის ცნობიერებამ ქვეყნისა და ბაგრატიონთა ტრაგედია ერთიანად აღიქვა და გაითავისა, ერთიანად დაიტირა ორივეს ბედი. ერთბედობის ეს ძაფი არ უნდა გაწყდეს მომავალშიც, რამეთუ ეშვიათად ნახავს კაცი ერსა და მის წინამძღოლს ისტორიული ბედ-იღბლით ასე ორგანულად ერთმანეთზე გადაბმულს, ერთმანეთის ტკივილითა და სიხარულით ასე ერთმანეთთან დაახლოებულს. მსოფლიო ისტორია ბევრს როდი იცნობს „აღმაშენებლისა“ და „თავდადებულის“, „ბრწყინვალისა“ და „წამებულის“ ეპითეტებიან ბრძენსა და გონიერ გვარს ამდენი „მრისხანისა“ და „გონებასუსტის“, „ღარაჩოკისა“ და „ხიხლიანის“ გვერდით. ამიტომაც ქართველი ხალხი ვალდებულია თითქმის 200 წლის განშორების შემდეგ, კვლავ შეუერთდეს თავისი ხანგრძლივი ისტორიის ორგანულ ნაწილს ეპოქის შესატყვისი ფორმებითა და პრინციპებით.**

კონსტიტუციური მონარქიის სასარგებლოდ შეიძლება აღინიშნოს რიგი სხვა არგუმენტებიც: გლობალური და საერთო-ევროპული ინტეგრაციის პირობებში, მან დადებითი როლი უნდა ითამაშოს უახლოესი ხანებისათვის „საერთო ბაზარში“ საქართველოს, ანდა საქართველოსთან ერთად მთლიანად კავკასიის რეგიონის ასოციაციურ წევრად გაერთიანების საქმეში. საქართველო, როგორც აღმოსავლეთში დასავლური კულტურის შუამავალი, ყოველთვის მისწრაფვოდა ასეთი კავშირებისაკენ და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დღევანდელი ეპოქა ხელსაყრელ პირობებს ქმნის საქართველოს ამ ისტორიული მისიის რეალიზაციისათვის.

ბაგრატიონთა დინასტიის თავის ისტორიულ უფლებებში აღდგენამ არ შეიძლება დადებითი როლი არ ითამაშოს ეროვნული კონსოლიდაციის, განსაკუთრებით, საქართველოს დღევანდელი საზღვრების გარეთ მცხოვრები ქართველი მაჰმადიანების ეროვნული თვითშეგნების განვითარების საქმეში და აგრეთვე მეზობელ მაჰმადიანურ სამყაროსთან „ყონაღობის“ ძველი კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისა და განვითარებაში. ეს ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედი უნდა გახდეს მომავალში.

ბაგრატიონების ხელისუფლების ნომინალურმა აღდგენამ თავისებური პოლიტიკური კაპიტალი უნდა მოგვცეს რუსეთთან მომავალ მოლაპარაკებებშიც, განსაკუთრებით ფინანსურ-ეკონომიკური კომპენსაციების, პრობლემის გადაწყვეტაში, რომელთაც ალბათ, რუსეთის ახლანდელი, ან მომავალი მთავრობა აუცილებლად წამოგვიყენებს. ამ მხრივ, თუ რაიმე პრეტენზიები შეიძლება ჰქონდეს მორალურ-ზნეობრივადაც და საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისითაც ვისმე რუსეთთან, ეს ალბათ, ბაგრატიონთა გვარია, რომელსაც ხელისუფლების უზურპაციასთან ერთად, რაც გეორგიევსკის ხელშეკრულების უხეში დარღვევაა, შეუძლია წაუყენოს ეკონომიკური და თვით ტერიტორიალური პრეტენზიებიც.

შეიძლება მოვიყვანოთ ჩვენი ეროვნული ცხოვრების სხვა პოლიტიკური, თუ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებიც („ხიზნობის“ ინსტიტუტი, ტოლერანტობა, სოციალური პასუხისმგებლობისა და ქვეყნის ფედერალური მოწყობის ტრადიციები...), კონსტიტუციური მონარქიის სასარგებლოდ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ჩამოთვლილნიც საკმარის საფუძველს იძლევიან გარკვეული შოსამზადებელი პერიოდის შემდეგ, პრაქტიკულად დაისვას საკითხი მისი ამა თუ იმ ფორმით რეალიზაციის შესახებ. ყველა შემთხვევაში საკითხის სამოლოო გადაწყვეტა მხოლოდ-მხოლოდ ქართველი ხალხის პრეროგატივა შეიძლება იყოს.

ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ „ბატონყმობის აღდგენის საშიროებისა“, თუ „თავად-აზნაურთა ბრივილეგიების აღორძინების“ მსგავს მოარულ ხმებზე, რომელთაც ხშირად გაიგონებს კაცი კონსტიტუციური მონარქიის იდეის საწინააღმდეგოდ. ამ ბოლშევიკური ყაიდის პრიმიტიულ დემაგოგიას არავითარი ისტორიული და მით უმეტეს კი, მომავლის რაიმე რეალური საფუძველი არ შეიძლება ჰქონდეს. კონსტიტუციისა და პარლამენტის უზენაესობასაც რომ თავი გავანებოთ, თვით ქვეყნის ცალკეული მხარეების (ხვანეთის, ჭიზიყის, აღმოსავლეთ ბთიანეთის), თვითმმართველობის მდიდარი ისტორიული ტრადიციები, განსაკუთრებით კი, მათი აღდგენისა და მომავალი განვითარების სამართლებრივი გარანტიები თავისთავად გამორიცხავენ ამას.

ისტორია გვასწავლის, რომ ბუნებისა და ხაზოგადოების შესახებ ნებისმიერი ახალი ცოდნა, თუ ჭეშმარიტება ცნობიერებაში გათავისების 3 სხვადასხვა თვისებრივ სტადიას გაივლის ხოლმე: 1. „ეს სისულელეა“... 2. „ამაში რაღაც ჭეშმარიტებაც უნდა იყოს“... 3. „ეს ხომ ცხადზე უცხადესია“... საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის დამკვიდრების იდეა, როგორც ჩანს, დღეს მეორე სტადიაზეა. ღმერთმა ქნას, რომ ხვალ და ზეგ მან წარმატებით განვლოს მეხამე სტადიაც. ამით მოხდილნ იქნება ჩვენი ზნეობრივი ვალი და რაც მთავარია, ეროვნული ცხოვრების მდინარეს მიეცემა სწორი გზაკვალი. ეს ექნება ამასთან, პოლიტიკის, მასზე ცოდნის და ტრადიციონალიზმის დიალექტიკური მთლიანობის საყოველთაო მოთხოვნის რეალიზაციაც.

ელბერდ ბაბიაშვილი

ბანცხადება

სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების („ავღანელთა“) პარტიის პრეზიდიუმი იუწყება, რომ მომდინარე წლის აპრილში ჩატარდება პარტიის მორიგი ყრილობა, სადაც განხილული იქნება საკითხი მომდინარე ეტაპზე პარტიის მიზნების, ამოცანებისა და საქმიანობის შესახებ.

პარტიის წევრებს, მის მხარდამჭერებს, დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ წარმოადგინონ წინადადებები, თავიანთი მოსაზრებანი პარტიის პრეზიდიუმში.

ჩვენი მისამართი: თბილისი, გეორგეთის გასასვლელი № 8.

სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტიის პრეზიდიუმი. ტელ: 98.77.91; 98.77.92.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ელმი“ რამ დააელმა?

ბედნიერია ქართველი მკითხველი, რომელმაც არ იცის, რომ არსებობს ქვეყნად გაზეთი „ელმ“. იგი 30015 ცალად იბეჭდება და წარმოადგენს აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ყოველკვირეულ ორგანოს. ამ მკითხველებთან შედარებით უბედური ვარ, რადგან დროდადრო რატომღაც მიგზავნიან გაზეთის ნომრებს. გაზეთი ორენოვანი — რუსულ-აზერბაიჯანულია. არ ვიცი, რა სწერია აზერბაიჯანულ სტატიებში, მაგრამ ერთი რუსული სტატიის შესახებ კი მოგახსენებთ.

გაზეთის 1990 წლის 28 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილია შამშირის სტატია (არ ვიცი, სახელია, გვარია, თუ ფსევდონიმი) „ურმისა და ორი კურდღლის შესახებ“. ქართველი ერის ასე გათახსირება (თუ არ ვცდები, თურქული სიტყვაა!) არ წამიკითხავს ამ საქმეში ორსაუკუნოვანი მდიდარი გამოცდილების მქონე იმპერიულ რუსულ პრესაშიც კი!

ავტორი ეხება 6 დეკემბერს ბაქოში საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის „ტოვ. ტ.ი. სიგუას“ ვიზიტს. ბატონ თ. სიგუას ვიზიტი, რომელიც ასე საბჭოურად „გაიამხანაგა“ შამშირმა, როგორც ვიცით, მიზნად ისახავდა ორ რესპუბლიკას შორის შეთანხმებას ეკონომიკისა და კულტურის დარგში. ავტორი აღშფოთებულია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ „გულში ჩაიკრა“ სტუმარი, მაშინ, როცა საქართველოში მცხოვრები 700 ათასი აზერბაიჯანელი (ციფრის თითქმის გაორმაგებაც ნიშანდობლივია!) სასტიკ შევიწროვებას განიცდის, რადგან „არაოფიციალური, მაგრამ სავსებით სარწმუნო სტატისტიკა გვიჩვენებს“, რომ, თურმე, ყოველ 75 წუთში ერთხელ საქართველოში აზერბაიჯანელს შეურაცხყოფენ, განსაკუთრებით „ეგრეთ წოდებული სვანები“. დედები ბავშვებს „თათრებით“ აშინებენ და „ყველაფერს ბინძურს, გაუთლელს, ნახევრად დაძონძილს, ტილიანს“ ქართველები აზერბაიჯანელთან აიგივებენ.

მაგრამ ამავე დროს „საქართველოს არ შეუძლია იარსებოს აზერბაიჯანული ნავთობის, გაზის, ელექტროენერგიის და სხვათა გარეშე და ბატონო ზვიადი (ნუ გამამტყუნებთ, რუსულ ენაში არ არსებობს წოდებითი ბრუნვის ფორმა და ავტორმა არ იცის მისი მნიშვნელობა — რ.მ.) ცვლის ტაქტიკას... ყველაფრიდან ჩანს, რომ საქართველოს მხარე კმაყოფილი დარჩა მოლაპარაკებით. მართლაც ღირს გავიხსენოთ ანდაზა — „თუ მტერი გაქებს, დაფიქრდი, რა სიბრიყვე ჩაგიდენია“.

კარგი იქნებოდა, შამშირი მართლაც დაფიქრებოდა საკუთარ სიბრიყვეს, იმპერიულ მარწუხებში ჯერ-კიდევ მყოფი ორი რესპუბლიკის კეთილმეზობლობას მისალმებოდა, მაგრამ, ეტყობა, დაფიქრება მისი ამპლუა არ გახლავთ. ეს კარგად ჩანს, თუნდაც მისი განცხადებიდან: „ქართველები (ინგილოები) აზერბაიჯანში ყოველთვის უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე აზერბაიჯანელები საქართველოში“.

ფიქრთან აკადემიური გაზეთის ავტორი აშკარად მწყრალად ბრძანდება, ორამდე თვლაც კი უჭირს. იგი ამტკიცებს, რომ საქართველო ერთი ურმით ორ კურდღელს დაეწია, მაგრამ ერთი „კურდღელი“ თუ რესპუბლიკათა შორის მიღწეული შეთანხმებაა, არ ჩანს, რა იქნა მეორე „კურდღელი“?

საქართველოს, ქართველ ხალხს აზერბაიჯანელი ავტორი, არც მეტი არც ნაკლები, ვერაგ მტრად მიიჩნევს: „სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გავიცნობიერეთ, რომ მეგობრულად გამოწოდებული ქართული ღვინის ყოველ თასში არის შოვინიზმის შხამიანი წვეთი. ეს თასი დაცალა ყველამ: რუსებმაც (თბილისში საკომენდატო საათი მხოლოდ ერთ დღეღამეს გრძელდებოდა), თურქეთმაც (საქართველოს თურქეთთან ურთიერთობა შეიძლება შეშურდეს აზერბაიჯანსაც, მიუხედავად იმისა, რომ მესხეთელი თურქები უკვე ნახევარი საუკუნეა ქვეყანაზე დაეხეტებიან, ხოლო ფერღანის ტრაგედიის შემდეგ საქართველოს საზღვრებთან ყურყუტებენ). რაც შეგვეხება ჩვენ — აზერბაიჯანლებს, ისე გავბრუვდით, რომ ვეღარ გასხვავებთ, ამ ღვინის თასში წვეთი შხამი ურევია, თუ შხამის თასში წვეთი ღვინო?“

ბოდიშს ვიხდი მკითხველთან, რომ შამშირის (თუ შხამხშირის?) სტატიას, რომელშიც წვეთი სიმართლე არ ურევია, იგიც ვახსიარუ. რაოდენ სამწუხაროა, რომ ჩვენმა მეზობელმა ხალხმა, რომელმაც შარშან დიდი გულისტკივილით აღნიშნა 9 აპრილის ტრაგედიის წლისთავი, რომლის შვილმა თავი გასწირა წყალდიდობის დროს ქართველების გადასარჩენად და სულ ახლახან სსრკ შინაგანი საქმეთა მინისტროს ჯარების მებრძოლებმა — აზერბაიჯანელმა ჭაბუკებმა უარი თქვეს სამაჩაბლოს ქართველი მოსახლეობისათვის ტყვიების დაშენაზე, შეიძლება წაიკითხოს მათი გზაგაბნეული თანამემამულის სტატია, რომელიც, რა თქმა უნდა, წვეთია მოზღვავებულ ინფორმაციაში, მაგრამ ყველაზე შხამიანი წვეთი!

ნახეთ, როგორ პროვოკაციულად თავდება ეს შხამიანი სტატია: ორ რესპუბლიკას შორის მიღწეული შეთანხმება მარტო ქართველ პოლიტიკოსთა დამსახურება როდია, ჩვენი საზოგადოების ყურადღება მთიანი ყარაბახისაკენ იყო მიპყრობილი და ამიტომ მოხდა ეს უბედურებაო. „საქართველომ (უკვე ლაპარაკია მთელ საქართველოზე და არა ცალკეულ პოლიტიკოსებზე! — რ.მ.) ისარგებლა ამით არა ძმურად, არა მეზობლურად, ბოლოს და ბოლოს, არც კაცურად.“

როგორ მოგწონთ, როცა მთელი რესპუბლიკის „კაცურობაზეა“ ლაპარაკი? მაგრამ არაკაცს, ამ სიტყვების ავტორს, ჩვენ ვერაფერს შევაგნებინებთ, თუ მას თვითონ აზერბაიჯანელმა ხალხმა არ მოთხოვა პასუხი! მიკვირს, გაზეთ „ელმის“ რედაქცია რაღამ დააბრმავა და დააელმა?

რომან მემინოშვილი

ნათქვამია: „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმისა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“. კომუნისტების კაცთმოძულეობაზე და ავანტურიზმზე ,იმდენი ითქვა და დაიწერა, რომ მეუხერხულება კდეც კვლავ დაუბრუნდე ამ საკითხს, მაგრამ საქართველოში არსებული დღევანდელი პოლიტიკური ვითარება დუმილის უფლებას არავის გვაძლევს. 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულმა არჩევნებმა წარმოაჩინა არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალებისადმი ქართველი ერის უსაზღვრო სიყვარული და ნდობა, არამედ გარკვეული პოლიტიკური ძალების შური და გაბოროტებაც. მე მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ უკანასკნელთა შორის უპირველესი კომუნისტური პარტიაა. საქართველოს კომპარტია მცირედი ნაწილია ერთი მთლიანისა და მის არსში მთლიანად ისახება ყველაფერი ის, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ახასიათებს: დემაგოგია, ავანტურიზმი და კაცთმოძულეობა. საქართველოში კომპარტია კვლავ რჩება იმ ანგარიშგასაწევ ძალად, რომელიც ნებისმიერ დროს გასწირავს ერს რუსეთის იმპერიისა და საკუთარი ამბიციების სანაცვლოდ. საქართველოს კომპარტიამ დღეს ნიღაბი გამოიცვალა. რა თქმა უნდა, ნიღბის გამოცვლა ბრძოლის ტაქტიკის გამოცვლასაც გულისხმობს. ამიტომაც არის, რომ დღის მისი ლიდერები ოფლად იღვრებიან, როგორმე ერის კეთილდღეობისათვის მებრძოლებად მოგვაჩვენონ თავი. არც გასაკვირია, ეს ხომ დღეს ასე მოგვებიანია. საქართველოს კომუნისტთა ლიდერმა ბატონმა ავთანდილ მარგიანმა მაღალი ტრიბუნიდან განაცხადა, რომ საქართველოს კომპარტია დღეს ეროვნულ პარლამენტში ოპოზიციას არ წარმოადგენსო. დიდებული იქნებოდა, ეს რომ ასე იყოს, მაგრამ შუბი ხალთაში არ დაიმალებაო და აკი არც დაიმალა. მე მინდა მკითხველს რამდენიმე ფაქტი შევთავაზო, დასკვნების გამოტანა კი მისთვის მიმინდვია:

ბატონმა ავთანდილ მარგიანმა რიხით განაცხადა, რომ საქართველოს კომპარტიაში 400.000 კაცია და თუ მას მივუმატებთ მათ გულშემატკივრებს მათივე ოჯახის წევრების სახით, 2 მილიონნიანი არმია გვეყოლებაო. თქმა არ უნდა, 5 მილიონიანი საქართველოსათვის ეს უზარმაზარი პოლიტიკური ძალაა, მაგრამ საინტერესოა, ბატონ ავთანდილს რატომ ჰგონია ქართველი ხალხი ისეთი გულუბრყვილო, რომ ასე იოლად დაიჯეროს მისი შეთხზული ზღაპრები. ყველამ კარგად ვიცით, რომ 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომ მასიურად დაიწყო ხალხმა პარტიის რიგებიდან გამოსვლა, ხოლო მას შემდეგ რაც ხელისუფლების სათავეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალები მოვიდნენ, პარტიაში, ალბათ, რამდენიმე ათასი კაცი თუ დარჩა. ბოლოს და ბოლოს ეს საქართველოს კომპარტია ჯადოსნური სკივრი ხომ არ არის, რომ არა და არ დაიცალა.

ჩვენ კი ვიცით, ბატონო ავთანდილ, მაგ სკივრის საიდუმლო. თქვენ ხომ პარტიიდან გასულებს არ აფიქსირებთ. შეიძლება პარტიაში ერთი კაციც არ გყავდეთ, ქაღალდზე კი რამდენიც გენებოთ. ეს ხომ მიწერების ნაცადი მეთოდია, რომელსაც ასე უნარიანად იყენებდით თქვენს წარსულ პარტიულ-სამეურნეო საქმიანობის პერიოდში. და თუ მართლა დამიწყეთ საწინააღმდეგო მტკიცებას, მაშინ გეკითხებით, სად იყო თქვენი ნაქები არმია 28 ოქტომბრის არჩევნების დროს, როდესაც სამარცხვინო კრახი განიცადეთ. დიახ, ნამდვილად სამარცხვინო, რადგან ხუ რაიმე ხმები მიიღეთ, ისიც მოტყუებითა და შანტაჟით. ამის დამადასტურებელი ფაქტები საკმაოზე მეტი არსებობს. ჯდევ ერთი მომენტია კომპარტიის მოქმედებაში საინტერესო და დამაფიქრებელი. ამ ბოლო დროს მისი წამყვანი ცალკეული ორგანიზაციების ხელმძღვანელებად დაინიშნენ საკმაოდ სოლიდური თანამდებობისა და კარგი პერსპექტივების მქონე პირები. ზოგი მათგანი პარტიიდან გასულიც კი იყო. რა ძალამ მოიყვანა ისინი ამ მკვდარი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელ პოსტებზე? პოლიტიკურმა მრწამსმა? რაღაც ძალზე საეჭვოა. ზოგიერთ მათგანს პირადად ვიცნობ და კარგად ვიცი, რომ კომუნისტური იდეოლოგია მათ არც ადრე ეზატათ გულზე და მით უმეტეს არც ახლა ახატიათ. იქნებ, ბატონო ავთანდილ, რაიმე ბრწყინვალე პერსპექტივები დაუხატეთ მათ? მე მგონი ეს უფრო ჰგავს სიმართლეს. მაგრამ რა პერსპექტივები, ხომ ვერ გვეტყოდით? ხომ არ ხდება აქ გარიგება ქართველი ერის ბედის ხარჯზე? მე მგონი ამ საკითხზე დაფიქრება გვმართებს.

ბატონო ავთანდილ, თქვენ ძალზე გემარჯვებათ ომახიანი შეძახილი და საბრძოლო ყიჟინა, მაგრამ ვაი, რომ ამას მხოლოდ დემაგოგიის სუნი ასდის. თქვენ ახლახან სესიაზე რიხით განაცხადეთ, რომ 700 სვანის ოჯახი მზადაა დღესვე ჩასახლდეს სამაჩაბლოს ყველაზე ცხელ წერტილებში. სესია ტაშით შეხვდა თქვენს ამ განცხადებას. აგაშენოთ ღმერთმა, 700 არა, მაგრამ რამდენიმე ათეული სახლი მზად არის მობინადრეების მისაღებად, მაგრამ... თქვენი დანაპირები ხალხი ჯერაც არსად ჩანს. ბატონო ავთანდილ, იქნებ გვითხრათ, რა გააკეთა რეალური საქართველოს კომპარტიამ სამაჩაბლოს მოსაგვარებლად. თქვენ ხომ სესიაზე დაგვაიმედეთ, რომ საკავშირო კომპარტიასთან თქვენ უკეთ გემარჯვებათ საერთო ენის მოძებნა. არა, საერთო ენა რომ მოძებნილი გაქვთ, ეს ცხადია, მაგრამ არა საქართველოს საკეთილდღეოდ. ერთიც მინდა შეგახსენოთ, ბატონო ავთანდილ. საქართველოში დღეს არსებული ზოგიერთი შეიარაღებული ფორმირება კომპარტიის პირმშოა — მისი ფინანსური

ფრთხილად! წინ საშიში დაღმართია, ანუ წინ კომუნისტებია!

ვინო კრახი განიცადეთ. დიახ, ნამდვილად სამარცხვინო, რადგან ხუ რაიმე ხმები მიიღეთ, ისიც მოტყუებითა და შანტაჟით. ამის დამადასტურებელი ფაქტები საკმაოზე მეტი არსებობს. ჯდევ ერთი მომენტია კომპარტიის მოქმედებაში საინტერესო და დამაფიქრებელი. ამ ბოლო დროს მისი წამყვანი ცალკეული ორგანიზაციების ხელმძღვანელებად დაინიშნენ საკმაოდ სოლიდური თანამდებობისა და კარგი პერსპექტივების მქონე პირები. ზოგი მათგანი პარტიიდან გასულიც კი იყო. რა ძალამ მოიყვანა ისინი ამ მკვდარი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელ პოსტებზე? პოლიტიკურმა მრწამსმა? რაღაც ძალზე საეჭვოა. ზოგიერთ მათგანს პირადად ვიცნობ და კარგად ვიცი, რომ კომუნისტური იდეოლოგია მათ არც ადრე ეზატათ გულზე და მით უმეტეს არც ახლა ახატიათ. იქნებ, ბატონო ავთანდილ, რაიმე ბრწყინვალე პერსპექტივები დაუხატეთ მათ? მე მგონი ეს უფრო ჰგავს სიმართლეს. მაგრამ რა პერსპექტივები, ხომ ვერ გვეტყოდით? ხომ არ ხდება აქ გარიგება ქართველი ერის ბედის ხარჯზე? მე მგონი ამ საკითხზე დაფიქრება გვმართებს.

ბატონო ავთანდილ, თქვენ ძალზე გემარჯვებათ ომახიანი შეძახილი და საბრძოლო ყიჟინა, მაგრამ ვაი, რომ ამას მხოლოდ დემაგოგიის სუნი ასდის. თქვენ ახლახან სესიაზე რიხით განაცხადეთ, რომ 700 სვანის ოჯახი მზადაა დღესვე ჩასახლდეს სამაჩაბლოს ყველაზე ცხელ წერტილებში. სესია ტაშით შეხვდა თქვენს ამ განცხადებას. აგაშენოთ ღმერთმა, 700 არა, მაგრამ რამდენიმე ათეული სახლი მზად არის მობინადრეების მისაღებად, მაგრამ... თქვენი დანაპირები ხალხი ჯერაც

და მორალური მხარდაჭერითაა შექმნილი. დღეს, როდესაც საქართველოს ასე უჭირს, რატომ ვერ გრძნობს საქართველოს მთავრობა, ქართველი ერი მათ თანადგომას.

დაბოლოს, ბატონო ავთანდილ, ერთი მორიდებული კითხვაც მინდა მოგაცეთ. მართალია, თქვენ ჯადოსნური სკივრის მფლობელი ბრძანდებით, მაგრამ, როგორც ადრე მოგახსენეთ, მიწერებით დოვლათი არ იქმნება. იქნებ განუმარტოთ ქართველ ხალხს, რა სახსრებით არსებობთ? ამდენი ხელფასები, ამდენი ტრანსპორტი, ამოდენა შენობების, კავშირგაბმულობისა და ელექტროენერგიის ხარჯები. შემოსავალი რომ არაფერი გაქვთ? თუ ისევ რუსეთის კომპარტიის კმაყოფაზე იმყოფებით? ალბათ ასეა, ისინი ხომ ასე ზრუნავენ თქვენს საკეთილდღეოდ და ალბათ არცთუ უანგაროდ.

ყოველივე ზემოთ თქმული გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს კომპარტია შორსგამიზნულ პოლიტიკას ატარებს. ხომ არ ელოდება ის ლიტვის მსგავს პოლიტიკურ გართულებას, რომ შემდეგ მოითხოვოს კანონიერი მთავრობის გადადგომა და თვითონვე აიღოს ხელში ძალაუფლება? ძალზე დამაფიქრებელია.

ჩემო ძვირფასო მკითხველებო, შეიძლება თავიც მოგებეზრეთ ამდენი „რატომ და „რისთვის“ კითხვების დასმით. მათზე ბატონმა ავთანდილმა უნდა გაგვცეს პასუხი. თქვენ კი მოგიწოდებთ:

ფრთხილად! წინ კომუნისტებია.

თამაზ ადამია

გთხოვთ, პონორარი გადარიცხოთ მ. კოსტავას სახელობის ფონდში.

ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ

16 იანვარს, საქართველოს საინფორმაციო კორპორაცია „მაცნე“-მ, საქველმოქმედო ფონდმა „საქართველო, საქართველო“-ᲛᲘ და ასოციაცია „საქართველო-ამერიკა-90“ ხელი მოაწერეს წინასწარგანზრახულობის ოქმს თბილისში ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ ამერიკული ფირმა „ინტერნეიშნელ ტელსელ გრუპ“-თან საქართველოში საეთერო-საკაბელო ტელევიზიის შექმნის თაობაზე.

პროგრამა ითვალისწინებს ევროპისა და ამერიკის 6 ძირითადი და 3 დამატებითი არხის ტელეგადაცემების ჩვენებას საქართველოში.

ამერიკული მხარე თავის თავზე იღებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემოტანას, ხოლო ქართული მხარე —ᲛᲘᲡ მონტაჟსა და ექსპლოატაციას.

კონტრაქტით გათვალისწინებულია შესაბამისი ტელეგადაცემების სინქრონული თარგმანი. ამერიკული მხარე უზრუნველყოფს ქართული მხარის მიერ გადაღებული ვიდეომასალის ჩვენებას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საქინფორმი

ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

„ახალგაზრდა ივერიელი“-ს 29 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულია საოკუპაციო არმიისადმი ბოიკოტის კომისია — ქენევა 49 თავმჯდომარის აკაკი გიორგაძის წერილი „სამხედრო საკითხთან დაკავშირებით“. წერილში წერია: „შეიქმნა კრიტიკული სიტუაცია, რის გამოც ჩვენ მივმართეთ თანადგომისათვის „საქართველოს ექიმთა ასოციაციას“, რომელმაც შექმნა სპეციალური კომისია, შეისწავლა ავადმყოფთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს ხაზით ავადმყოფები გაიგზავნენ საავადმყოფოში. ზოგიერთ შემთხვევაში კომისიამ დაარღვია თავისი პოლიტიკური პრინციპები. პიროვნებათა ინტერესების დაცვიდან გამომდინარე და კონკრეტული სიტუაციების გათვალისწინებით, მოხერხდა ზოგიერთი ჯარის ნაწილებიდან გამოქცეული ჯარისკაცების დემობილიზაცია“.

პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ, რომ სრულიად გაუგებარია რატომ ზის ბრჭყალებში ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციის, საქართველოს ექიმთა ასოციაციის დასახელება. გაუგებრობას იწვევს ფრაზა „ზოგიერთ შემთხვევაში კომისიამ დაარღვია თავისი პოლიტიკური პრინციპები“. თუ აქ ექიმთა ასოციაციის კომისიაზეა ლაპარაკი, მან სწორედ თავისი პოლიტიკური პრინციპებიდან გამომდინარე იღვაწა იმისთვის, რომ დაპატიმრებას გადაერჩინა სამხედრო სამსახურის ადგილებიდან გამოქცეული ახალგაზრდები და საავადმყოფოში მოათავსა ისინი. ამასთან ერთად საქართველოს ექიმთა ასოციაციას არაერთხელ გამოუხატავს პრესასა და ტელევიზიის საშუალებით თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ქართველ ახალგაზრდათა გაწვევის შესახებ საოკუპაციო ჯარში. ხოლო თუ ზემოთ მოყვანილ ფრაზაში იგულისხმება საოკუპაციო არმიისადმი ბოიკოტის კომისია — ქენევა 49, ეს ჩვენი აზრით ხაზგასმით უნდა ყოფილიყო აღნიშნული. მკითხველისათვის ურიგო არ იქნებოდა იმის გაგებაც, რა „პოლიტიკურ პრინციპებზეა“ ლაპარაკი.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ დიდი ხნის საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებს კომისიასთან, რომელსაც ბ-ნი აკაკი გიორგაძე ხელმძღვანელობს, ბევრი გვიშრომია და გვიბრძოლია იმ საკითხთა მოსაგვარებლად, რომელიც მის წერილშია გაშუქებული და მიგვაჩნია, რომ ერთმანეთის პრესაში მოხსენიებისას უნდა ვეცადოთ, რომ ყოველი სიტყვა იყოს ნათელი და გარკვეული.

გიორგი ლაბუკიანი,
საქართველოს ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი.

ᲤᲐᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲥᲔᲡᲐ

ᲨᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ

ᲥᲡᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲝ

XIII ს.-ის შუა ხანებიდან საქართველოს პოლიტიკური ძლიერება ქეთევანმა, ქველამან ჯერ ბერაობა და ხორეშმანმა, ყალალ-ედინმა, ხოლო შემდეგ მონღოლთა ურდოების შემოსვლანი, რომელთა სახელმწიფოებად დამკვიდრეს თავიანთი ბატონობა. ქვეყანა სამოსლითა გამაბაგა თეთრიდ-ლეგვნა, რომელიც XIV-XV სს. ბიზანტიე რეფუნის ალეშვრა საქართველოში. ეკონომიკური და პოლიტიკური დაქვეითების პირობებში XV ს-ის მიწურულს ერთიანი ფეოდალური საქართველო დაიშალა ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებად და სამეფის სამთავროდ. თავის მხრივ, სამეფოებში წარმოიქმნენ მცირე ფეოდალები — ოდელები, რომლებიც ისევ საკუთარი ტერიტორია, ეფრეა-სამაგრე, ეკლესია-მონასტერები ჰქონდათ და ლაშქარი ჰყოფდათ.

შიდა ქართლში ქართლის სამეფოს დაშლის შედეგად წარმოიქმნა შემდეგი სამთავროები: ქსნის სერისთავი (XIII ს.), ირაგვის სერისთავი (XIV ს.), სალეკიანი (XIV ს. მიწურული), სამანდარეთი (XV ს.), ხაფანი (XV ს.), სამანიანი (XV ს.), სამეხრეთ-ბაღვაშეთი (XVI ს.). ალიანეფი შესდო სათავეთოთ ბგერეფი XVII ს. შუა ქარალეფ ბანან ფალალანდეფილი, ფალალნეფილი, ზეიმეფილი, ფალალეფილი, ალალეფილი, ალალეფილი, ხიდიანეფილი, ბალალეფილეს, ბალალეფილეფ, ალალეფილეფ, ალალეფილეფ, თანარეფილეფ სამაგალეფ.

XVI ს-ან ქართლის სამეფო დაიყო თოთ სამეფოდ—ალიანეფ-ეფ რაკიელ ერთიელეფ — სალარანეფ ანე სასარალეფილ. შიდა ქართლის ტერიტორიაზე შეიქმნა სამი სამეფო, III სალარანეფ შეიქმნა სამეფოთანბატონი, ირაგვი და ალიანეფ, II სალარანეფ — ჭანთ. ალიანეფ ალალეფილ, ხიდიანეფილ, ალალეფილ, ალალეფილ, ალალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1991 წლის 1 თებერვალი:

მილიცია და არმია ერთიანნი არიან. ახლა საქმე

„კომსომოლსკაია პრავდას“ დოსიედარ

...3. ქალაქსა და მის მიმდებარე რაიონებში უმკაცრესი წესრიგის დაცვა დაეკისროს ქალაქ მოსკოვის კომენდანტს, გენერალ-მაიორ ტ. სინილოვს, რისთვისაც კომენდატის განკარგულებაში გადაიცეს შინსახკომის... შინაგანი დაცვის ჯარები, მილიცია და მოხალისე მუშა რაზმები...

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1941 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებიდან

●

ს. ალექსეევი, სსრკ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე:

— როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებას ჩვენი კომიტეტი უახლოეს ხანებში მიიღებს განსახილველად. ასე რომ, კომენტარისაგან ჯერ თავს შევიკავებ. მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ მოცემული ბრძანება განიხილება კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტში, ჩემის აზრით, საკმარისად ახასიათებს მას.

ლ. შარინი, სსრკ უმაღლესი საბჭოს თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე:

— ერთის მხრივ, ჩემთვის გასაგებია მინისტრების შეშფოთება ქვეყანაში სიტუაციის გართულების გამო. მაგრამ მთლიანობაში მათი ბრძანება მაშფოთებს. კომიტეტში ჩვენ მტკიცე პოზიციაზე ვდგავართ: არმია არ უნდა მონაწილეობდეს ეროვნებათშორის და შიდაპოლიტიკურ კონფლიქტებში. და სამხედრო რეფორმის კანონის ჩვენს პროექტში ეს მოთხოვნა პირველ ადგილზეა წამოწეული. არმია უნდა დავიხსნათ მისთვის უჩვეულო ფუნქციების შესრულებისაგან.

სსრკ თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანება № 493 / 513

(შეგახსენებთ დეტალებს)

„...ქალაქების **ქუჩებში** საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გაძლიერებისა და **სამხედრო** დისციპლინის დაცვისათვის (აქ და შემდგომ ყველგან ხაზგასმა ჩვენია — **რედ.**) ვბრძანებთ:

— **1 თებერვლიდან** ... დედაქალაქებში... და საოლქო ცენტრებში,.. ორგანიზება გაუკეთდეს მილიციის მუშაკებისა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ერთობლივ პატრულირებას... **სახროლი** იარაღით შეიარაღებული საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა დანიშნა ერთობლივი პატრულირებისათვის, განხორციელდეს: ოპერატიული მდგომარეობის გართულებისას, მათ შორის მოქალაქეთა მასობრივი გამოსვლების დროს, **საზოგადოებრივ-პოლიტიკური** ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარებისას და **სადღესასწაულო დღეებში...**

ამ მიზნებისათვის მაქსიმალურად გამოვიყენოთ სამსახურის ავტოტრანსპორტი, ჯავშანტრანსპორტიორები...

— **ავტომობილებზე (ჯავშანტრანსპორტიორებზე)** მუდმივად იყოს **პატრულთა** რეზერვი და ყოველ გარნიზონში ასეულის — ბატალიონის შემადგენლობაში კი მორიგე ქვეგანაყოფები **შეიარაღებითა და ტყვია-წამლით.**

— შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულ ორგანოებსა და სამხედრო კომენდატურებთან განისაზღვროს და **მოეწყოს** ადგილები... იარაღისა და სპეციალური საშუალებებისათვის.

უზრუნველყოფილ იქნას ერთობლივი პატრულირების შედეგების **ყოველთვიური** შეჯამება, განსაკუთრებით გამორჩეულნი წახალისდნენ...

მოსკოვი

მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ს. სტანკევიჩმა „ქვეყნის ცხოვრების რეგულირების მსგავსი მანერა“ დაახასიათა როგორც „დაუშვებელი და არაკანონიერი“. „ლაპარაკია საგანგებო მდგომარეობის ელემენტების შემოღებაზე, პოლიტიკური რეჟიმის შეცვლაზე სსრკ-ში“. „შესაძლებელია, ბრძანება იმითაა გამოწვეული, რომ თებერვლის ბოლოსათვის ხელისუფლებამ უნდა მიიღოს კიდევ რაღაც მოულოდნელი გადაწყვეტილებები, რომელთა განსამტკიცებლად სამხედრო ძალა იქნება საჭირო“.

მიღებულია, აგრეთვე, მიმართვა რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი „თხოვნით, ეს უწყებრივი ბრძანება, როგორც „სამართალსაწინააღმდეგო“, გაუქმდეს.

— მე არ შემიძლია იმის თქმა, რომ ქალაქში სიტუაცია უკონტროლოა, — ამბობს ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე, გენერალი ნ. მირიკოვი, — მაგრამ მიუხედავად ამისა, დანაშაულთა რიცხვი იზრდება: მათი ნახევარზე მეტი ქუჩაში ხდება, მოსკოვის მილიციას კი 3,5 ათასი კაცი აკლია! მოსკოვის საქალაქო საბჭოს პოზიცია ჩემთვის ჯერჯერობით უცნობია. ასე რომ ბრძანებას შევასრულებთ.

დ. საბოვი,
კ. ბელიაინინოვი.

თანამემამულენო! შეგვინარჩუნოთ სიმშვიდე, ნუ მივცემთ ჩვენი პატრულირების საბაბს

დონის როსტოვი

ვლადიმირ ჩუბი, საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე:

— საქალაქო საბჭოს ჯერ არ განუხილავს ბრძანება ერთობლივი პატრულირების შესახებ. გაძოვთქვამ პირად აზრს — ბოლოს და ბოლოს, ჩვენთან მილიცია საბჭოებს ექვემდებარება თუ პირიქით?

დარწმუნებული ვარ, რომ როსტოვში შექმნილი მდგომარეობა სრულებით არ საჭიროებს ასეთ ზომებს.

ი. ბეხპალოვი

უაზანი

რ. შ. ხაფიზოვი, თათრეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კანონისა და კანონიერების, მართლწესრიგისა და პრივილეგიების კომისიის თავმჯდომარე:

— ორი მინისტრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი პოლიტიკური ხელისუფლების ღრმა კრიზისის დასტურია. დაძაბულობა გაიზარდა, ადამიანებს გაუჩნდათ ახალი მოთხოვნები, რომლებიც, როგორც ყველაფრიდან ჩანს, მეავტომატეების დახმარებით უნდა ჩაახშონ.

ბ. ვიშნევსკი

ერევანი

ლევონ ტერ-პეტროსიანი, ფედერაციის საბჭოს წევრი:

— დღეს სომხეთი კავშირის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური რესპუბლიკაა. ვფიქრობ, სამხედროებს ქუჩებში საქმე არაფერი ექნებათ. დარწმუნებული ვართ, რომ სამხედროებთან მოვრიგდებით.

„გარეშე პირთა“ რჩევები

თავდაცვის მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივ ბრძანებაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ყოფილი საპრეზიდენტო საბჭოს ზოგიერთ წევრს. მაშ ასე, რას ურჩევდნენ ისინი პრეზიდენტს?

გრიგორი რევენკო, სსრკ სახალხო დეპუტატი:

— იმ ქალაქებში, სადაც ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას რეალური საფრთხე ემუქრება, მე სსრკ შინაგან საქმეთა ჯარებზე გავაკეთებდი ორიენტაციას. არმია, ჩემის აზრით, საამისოდ არ უნდა იქნას გამოყენებული. ის თავის საქმეს უნდა აკეთებდეს.

სტანისლავ შატალინი, აკადემიკოსი:

— სამართლე გითხრათ, ამ კანონის არანაირი კომენტარის სუ-

რა სახის ხმები გავრცელდება

მე მინდა, როგორც ომის დროს, არტისტის სახსრებით შევიძინო ტანკი, ოღონდ გარკვეული დროით თავადვე გამოვიყენო.

სახიამოვნო იქნება, ალბათ, მოულოდნელად რომ გამოჩენილიყავი სახლმმართველობაში და ტანკიდან გადმოუსვლელად სამზარეულოში იატაკის გამოცვლა მოვთხოვა. ანდა ბაზარში შევგრიალებულიყავი და ტანკის ჭვრეტულიდან მეკითხა „რამდენი ღირს, რამდენი? ერთი კილო თუ მთელი ტომარა?“

ვ. ჟვანეცკი
(1988 წ.)

თებერვლის პირველი რიცხვებიდან გაზეთებითა და ტელევიზიით შეგვატყობინებენ არმიისა და მილიციის ერთობლივი პატრულირების დიდ წარმატებებზე. იმაზე, თუ რამდენით შემცირდა დანაშაული, რამდენი საშიში სისხლის სამართლის დამნაშავეა დაკავებული. უბრალო ხალხისაგან მთავრობის სახელზე შემოვა მადლობის წერილები, რომლებსაც გაზეთების პირველ გვერდებზე გამოაქვეყნებენ. ტექსტი დაახლოებით ასეთი იქნება: „მადლობა სამხედროებს. მე უბრალო საბჭოთა მუშას, ბოლოს და ბოლოს შემიძლია მშვიდად ვიარო ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში. სიხარული და დიდი კმაყოფილება გვესვამს გულს, როცა გვერდით ჩავლილ ჯავშანტრანსპორტიორებს ხედავ. ჩვენ, უბრალო საბჭოთა ადამიანები, მხურვალედ ვუჭერთ მხარს გადაწყვეტილებას ერთობლივი პატრულირების შესახებ. პატიოსან ადამიანას არ უნდა ეშინოდეს ფორმიანი და თოფიანი კაცისა“.

●

უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ბრძანებულების მიღება. ქვეყნის მთელი მოსახლეობის განიარაღების და ყველა საჩხვლეტი და მჭრელი საგნების (სუფრის დანების ჩათვლით) ნებაყოფლობითი ჩაბარების შესახებ. მოქალაქეებს ნაჯახების, ნამგლების ლურსმნებისა და ფანქრის სათლელი დანების ყიდვა შეეძლებათ მხოლოდ ეროვნული ხსნის საბინაო კომიტეტების ნებართვით, რომელთა ხელმძღვანელების გვარები ღრმად გასაიდუმლოებული იქნება. თავიანთ მითითებებსა და დეკრეტებს ისინი პარტიის რაიონული კომიტეტის მეშვეობით გადასცემენ.

●

უეჭველად გაჩნდება ცნობები „ე. წ. დემოკრატების“ მასშტაბური მხილებების, ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან მათი კავშირის შესახებ. აღმოჩნდება იარაღის საიდუმლო საწყობები, შიფრები, რადიოგადამცემები. ალბათ, ამ დღეებში აღმოაჩენენ იარაღით დატვირთულ ტრანსპორტს, რომელსაც ექსტრემისტ ბალტიისპირელებს რომელიმე დასავლეთის ქვეყანა გამოუგზავნის. შიფრები, იარაღი, კომუნისტების სიები, სამხედრო ფორმა შეიძლება იპოვონ რუსეთის დემოკრატების შტაბ-ბინებში. ყველაფერი კანონიერი ხელისუფლების დამხობის მომზადების მცდელობას დაამტკიცებს.

●

ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის შემოიღებენ სპეციალურ საშვებს — „ჩვენები“ და „არა ჩვენები“, რომლებიც უნდა წარადგინო სამხედრო-სამილიციო პატრულთან შეხვედრისას. იმას, თუ ვინ არის „ჩვენი“ და ვინ „არა ჩვენი“ ეროვნული ხსნის კომიტეტები განსაზღვრავენ.

●

მშრომელთა მოთხოვნით მოიმატებს ფუფუნების საგნებისა და არაპირველადი მოხმარების საგნების — კვების პროდუქტების ფასები. ყველაფერი ამის ყიდვა შესაძლებელი იქნება მაღაზიებში რაიონის სამხედრო კომენდანტის მიერ დამოწმებული მყიდველის სავიზიტო ბარათის წარდგენის შემდეგ. 100 და 50-მანეთიანი კუპიურების წარმატებით გამოცვლის შემდეგ, სსრკ მოსახლეობა მაფიის ბოლომდე გასანადგურებლად, სსრკ მთავრობას მოსთხოვს ყველა დანარჩენი კუპიურის გამოცვლასაც. მოსახლეობის ხელშესაწყობად სალაროს ყველა ანაბრებს გაჰყინავენ.

●

არ არის გამორიცხული, რომ ექსტრემისტები მთელ რიგ ტეროროისტულ აქტებს განახორციელებენ რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრების წინააღმდეგ. მაგრამ, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, არავინ დაზარალებულა.

●

უახლოეს ხანებში მოხდება „ეკონომიკური დივერსიების“ ახალი მხილებები. კვალი დემოკრატებთან მიგვიყვანს. ამას აღიარებს ფაქტზე დაჭერილი რომელიმე მსხვილი მაფიოზი. არ არის გამორიცხული გაირკვეს, რომ სობჩაკს, პოპოვსა და დემოკრატიის სხვა ლიდერებს მსხვილი ანაბრები აქვს დასავლეთში, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების „ნაზმა რევოლუციებმა“ იაკოვლევის, შევარდნაძისა და ბაკატინის საიდუმლო ხელმძღვანელობით ჩაიარა.

ა. განელინი,
ვ. ფილინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე ხალხზეა?

ცხოვრებასა და... ეკრანზე

დეპეშები ნოემბერში

ორი მინისტრის ანტიკონსტიტუციური ბრძანება წარსულ დროებაზე ნოსტალგიით შეპყრობილ ავანტიურისტ ძალაუფლების მოყვარულთა მორიგი პოლიტიკური ავანტურაა.

კოროგოვი,
ბუშ.

●

გასულ წლებში, თქვენ, ლეონარდ პოლტიერს რომ უჭერდით მხარს, ბეჭდავდით საპროტესტო ღია ბარათს ამერიკის ხელისუფლებისადმი. გთავაზობთ აშს მსგავსად, თქვენი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდოს ბალტიისპირეთში დატრიალებული სასაკლაოს წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო ღია ბარათი.

ალექსანდრ ვოლოვენკო

ჩემს მიერ მიღებული ცნობებით, ამ დღეებში ბაიკალსგაღმა სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა ა. ვ. ტერენტიევმა ოლქის ყველა ნაწილში გააგზავნა შემდეგი შინაარსის ტელეფონოგრამა: „სსრკ სახტელერადიოს თავმჯდომარის თანამდებობაზე აშხ. კრავჩენკოს მოსვლით შეიცვალა სსრკ შეიარაღებული ძალების საქმიანობის გაშუქება. ის უფრო ობიექტური, ჭეშმარიტი გახდა და არმიისა და ხალხს შორის ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, მართლად აჩვენებს სსრკ სამხედრო ძალის როლსა და მნიშვნელობას საზოგადოებაში.

ნაწილების ყველა უფროსმა აშხ. ლ. პ. კრავჩენკოს გაუგზავნოს მხარდასაჭერი დეპეშა.

მისამართი: ქ. მოსკოვი, სსრკ სახტელერადიო, კრავჩენკო.

დეპეშას მოეწეროს: ბაიკალსგაღმა საბჭოთა არმიის სამხედრო ოლქის ოფიცრები, პრაპორშჩიკები და მოსამსახურეები, სამხედრო ნაწილის ნომერი.

ანგარიში შესრულების შესახებ ჩაბარდეს ჩიტის დროით 7 სთ-სა და 30 წთ-ზე.

ტელეფონოგრამების გაგზავნა ღამის პირველ საათზე დაიწყო.

ვ. მედვედევი



კომპეტენტური აზრი

ძველი ჯავშანტრანსპორტიორი კვალს არ გაუფშვავს

თუ ჯავშანტრანსპორტიორები მოსკოვის ქუჩებში გამოვლეს, ხომ არ გაართულებს ეს დედაქალაქის უამისოდაც დაძაბულ საგზაო მოძრაობას?

ამ კითხვაზე უპასუხებს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის მოადგილე ი. ილინი.

— სისულელეა, ეს აღელვებადაც არ ღირს, — უპასუხა მან,— ჯავშანტრანსპორტიორები სიგნალიზაციის ყველა საშუალებით აღჭურვილი საგსებით საიმედო მანქანებია! მათ მძღოლებს აქვთ მართვის კატეგორია, რომელიც ქალაქის ფარგლებში გადაადგილების საშუალებას იძლევა. ჯავშანტრანსპორტიორების გაშო მხოლოდ ერთი უხერხულობა შეგვექმნება — თავიანთი მასიური ბორბლებით ისინი გზებზე ნიშნულებს შლიან. ხიმგიერად ტასკისგან განსხვავებით ასფალტს არ გააფუჭებენ...

რ. ფროლოვი

სხვათა შორის

ერთი წლის წინათ ბაქო-სუმგაითის ტრასაზე შეეჯახნენ „ჟიგული“ და ტანკების კოლონა. უფრო სწორად „ჟიგული“ გზის პირას იდგა, ტანკებმა კი გვერდით ჩაიარეს. ერთმა მათგანმა დასტოვა კოლონა, აკურატულად გადაუარა ავტომობილს ოთხი მგზავრითურთ და კვლავ გზას გაუდგა. გასული წლის შემოდგომაზე შემდგარმა სასამართლომ ეს ჩვეულებრივ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევად შეაფასა. აღშფოთებულმა მოსარჩელეებმა სასამართლოს დარბაზი დასტოვეს, საბრძოლო მანქანის მძღოლმა კი მხოლოდ ოდნავ შემკრთალმა დაღწია თავი ამ ამბავს.

მოეზადდა „ქოფსოფოლსკაია პრავდას“ 1991 წლის 29 იანვრის მასალების მიხედვით.

ორი საეწესარო უკიდურესობა

. ყოველი კანონი ღრმად გააზრებული უნდა იყოს და მისი მოქმედებით გამოწვეულ არა მარტო ხვალინდელ შედეგს, მომავალსაც ითვალისწინებდეს. კანონის სიკეთეს შედეგი ამეღავნებს. მკაცრ და უაზრო კანონად მივიჩნიეთ, სოფლად რომ საპასპორტო სისტემა არ იყო და სოფლელი კაცი პირადობის მოწმობითა თუ კოლმეურნის წიგნაკით ჩადიოდა ქალაქში. ასეთი საბუთით მას არ შეეძლო ქალაქში ჩაწერა და მუდმივად ცხოვრება. ეს, რა თქმა უნდა, სისასტიკე იყო და ერთგვარად ამცირებდა სოფლელი კაცის თავმოყვარეობას. შემოვიღეთ სოფლად საპასპორტო სისტემა და სამოციან წლებში „კომუნიზმისკენ მიმავალი“ ყველა მშრომელი ერთბაშად ვაქციეთ თანასწორუფლებიან საბჭოთა მოქალაქეებად. მახსოვს, როცა ავადმყოფი დედაჩემი პასპორტისათვის საჭირო სურათის გადასაღებად რაიონულ ცენტრში მიმყავდა, მეხვეწებოდა: „ნუ წამიყვან, შვილო, დიდი დღე აღარ მიწერია და პასპორტი რა თავში უნდა ვიხალოო“. მართლაც არაფერში სჭირდებოდა, მაგრამ კანონს მაშინ ბრმად ვემორჩილებოდით და წინააღმდეგობას როგორ გავბედავდით!

რა მოხდა შემდეგ? მოხდა ის, რომ ყველამ ქალაქს მიაშურა და სოფლები დაცარიელდა. მინდვრებს მშრომელი გამოაკლდა და ერს — მკვებავი ძარღვი. სანამ მექანიზაცია მომძლავრდებოდა და ფლორა-ფაუნის გამანადგურებელ ჰერბიციდებს შემოიღებდნენ, ბალახი სჯამდა მოსავალს (ბალახი არც ახლა აკლია, რაკი ტრაქტორი ვაზისქვეშ ვერ ხნავს და ჰერბიციდების შეტანა კი დანაშაულია.). ეგებ ჰერბიციდები არც გამხდარიყო საჭირო, თუ სოფელს მშრომელი არ მოაკლდებოდა და ყანებს ძველებურად გამარგლავდნენ სარეველისაგან.

გაივსო ქალაქი სოფლებიდან ჩასული ღონიერი გლეხებით და მინდორმა პატრონი დაკარგა. ხშირად მაგონდება ერთი პატარძეული გლეხკაცი — დიდი მშრომელი, ჭკვიანი და მოჭირნახულე, მაგრამ, რაკი მისი მეზობლები ქალაქში გადაბარგნენ, მეუღლე აუხირდა, სხვაზე ნაკლები რითი ვართ, კულტურული და იოლი ცხოვრება ჩვენც გვჭირდებაო და ისიც ქალაქში წამოიყვანა. ერთხანს აგურის ქარხნის დარაჯად მუშაობდა, მერე კი თბილისის ერთ-ერთ ბაღში შემხვდა ბარით ხელში. აქ რა გინდა-მეთქი, შევეკითხე და — რა ვქნა, უქმად ჯდომას ვერ მივეჩვიე და ისევ ბარი ვამჯობინეო, — მიპასუხა, — აი, აქ ყვავილებს ვუვლი და ნარგავებს ძირებს ვუბარავო. შემებრალა, მაგრამ რას ვეტყოდი. კარგად გიქნია-მეთქი. მერე, როცა პატარძეულში მოვზვდი და მეზობლებმა მისი სახლ-კარი მაჩვენეს, გული ამბტირდა: მუხის სვეტებზე დაყრდნობილი ერთსართულიანი, კრამიტით დახურული ოროთახიანი სახლის ჭერი ჩამონგრევაზე იყო, ბაღში ვაშლები და მსხლები გადამზმარიყო, ეზოს კაჭაჭი და ნარ-ეკალი მოსდებოდა, შამბი მორეოდა. არცთუ პატარა ნაკვეთი ჰქონია სახლთან: კარტოფილსაც ბლომად დათესდა, ბალნეულსაც და სიმინდ-ლობიოსაც. რაკიღა ღრმად ჩავფიქრდი და, შემატყეს, დამენანა, ეგ რა არისო, გამაღიზიანეს, იორზე ერთი ჩარექი ვენახი გაუპარტახდაო, მწვანითა და რქაწითლით გავსილი. კაკლები კიდევ სხვა არისო.

ძალიან მეწყინა. „ჩარექს“ მეოთხედ ჰექტარს ეძახიან — ორი ათას ხუთას კვადრატულ მეტრ ფართობს. ამ ფართობზე ორი ათას ხუთასი ვაზი იმართება, როგორც მაშინ რგავდნენ. თითო ვაზს რომ ორი კილოგრამი მოსავალი მიეცა, ხუთი ტონა ყურძენი უნდა მოსულოდა ყოველწლიურად. მერე ბოსტნეული? სიმინდი და ლობიო? ვაშლი და მსხალი? თხილი და კაკალი? და კოლმეურნეობაც ხომ მთლად ხელცარიელს არ დატოვებდა იმ კაი კაცს. იქ კი თბილისის ბაზარში დადიოდნენ ნედლი ლობიოსა და მწვანილის საყიდლად.

ლეონიძის ციციკორე გამახსენდა, მეზობლებს რომ მატარებლის გამოსვლით აშინებდა. მატარებელზე რა მოგახსენოთ და, ერთი შეხედვით, „სასტიკი“ კანონის წინდაუხედავმა გაუქმებამ კი ერთბაშად დააცარიელა ჩვენი სოფლები მშრომელი მოსახლეობისგან. და ყველანი ქალაქზე მიგვაჯაჭვა. სამოციან წლებში ჩემს თვალწინ გაივსო თბილისი, არა მარტო ჩვენი სოფლებიდან ჩამოსული გლეხობით, არამედ სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული სხვადასხვა ეროვნების ხალხით, რითაც ვამაყობდით კიდეც: ინტერნაციონალური ხდებაო ჩვენი დედაქალაქი. ახლა ქრთამს ვეძახით და ათიათასობით მანეთი სჯირდება თბილისში ჩაწერას, მაშინ კი ათ მანეთად ეწერებოდნენ თბილისის გარეუბნებში სომხები და ქურთები, ბერძნები და აზერბაიჯანელები, რუსები და ებრაკები, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და ოჯახური მდგომარეობისა. ყოველწლიურად ახალ-ახალი მოსახლენი მოდიოდნენ შორეული ციმბირიდან თუ ქედისგადაღმა სტავროპოლიდან.

და მერე რა მოხდა? მოხდა ის, რომ ჩამოსულმა მოსახლეობამ კინაღამ ადგილობრივს გადააჭარბა და ქართულმა ენამ რუსულს დაუთმო პოზიციები. და კიდევ: ქალაქი გასცდა და ქვეყანა თავკომბალას დაეშგვანა. რესპუბლიკის მესვეურნი გონს მოეგნენ და ქალაქში ჩაწერა შეწყვიტეს. გვიან მიხვდნენ, რომ ამ შედეგით დამთავრდებოდა ძველი კანონის გაუქმება, თუ ახალ კანონს რაღაც დამცავ მოაჯირს არ გავუკეთებდით ხელის მოსაკიდებლად.

კამპანიურობა ხომ ჩვენი ხვედრი და წეს-ჩვეულებაა?! ხან ერთ უკიდურესობაში ვვარდებით და ხან — მეორეში. ხან ასეთ კანონს ვცემთ და ხან — ისეთს. ჩემს თვალწინ ჩვენი სახელმწიფო იმ ვითომც უაირათიან დისახლისს დაეგგვანა, რომელიც წვეულებისთვის მზადებაშია და ერთბაშად აგონდება, რომ საცივისთვის კაკალი არა აქვს, მაგრამ ბაზარში კი არ მიდის, აქაოდა უაირათიანი გამოვჩნდეო, დავრგათ, დაისხას და დავბერტყოთო. მერე ახსენდება, ბროწეულიც რომ კლებია და ბროწეულის პლანტაციების გაშენებას იწყებს.

იგივე, დღეს დაგმობილ მარქსისთვის რომ მოგვესმინა, გვეცოდინებოდა, რომ ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას და მშიერი კუჭით კაცი სწორად ვერ აზროვნებს. ამ უბრალო ჭეშმარიტების უცოდინრობის შედეგად, რაც კი კანონი გამოვეცით, ყველაფერი უკუღმა შემოგვიბრუნდა. გუშინ და გუშინწინ არ იყო, ალკოჰოლის საწინააღმდეგო კანონის გამოცემით რა დღეში ჩავცვივდით და რა ჯირის ოფლი ვიდინეთ. როგორ გავმასხარავდით და როგორ მოვუღეთ ბოლო ისედაც განადგურებული ქვეყნის ეკონომიკას. მერე დაჩქარებამ რა შედეგი მოგვცა და გარდაქმნამ კი როგორ ერთბაშად „დაგვაწინაურა“. მართალია, გარდაქმნას არ უნდა ვემდურეოდეთ, რაკიღა ერებს თავისუფლების გზა გაგვიხსნა, მაგრამ თუ ვინმეს სჯერა, რომ გარდაქმნა საბჭოთა კავშირის დაშლას ითვალისწინებდა, გულუბრყვილობაა. მაშ, რად ღელავენ ცენტრში დღეს ასე ძალიან და დამსჯელი ექსპედიციებით რად ემუქრებიან იმ რესპუბლიკებს, რომლებმაც

ლორჯინება არგო

ბვერდის ხელმძღვანელი არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ლორჯინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა გაზეთებიდან

ეროვნული

მწარე იანვარი

ასეთ სიურპრიზს არავინ ელოდა. ფულადი რეფორმა, რომლის მიზანშეწონილობაზეც სულ რაღაც ორიოდ დღის წინათ ასე დაბეჯითებით ლაპარაკობდნენ ფინანსთა მინისტრი ვ. პავლოვი და მისი უახლოესი გარემოცვა, პრემიერ-მინისტრი ვ. პავლოვის პირველ სერიოზულ აქციად იქცა. არ ვიცი, რამდენი მომხრე ეყოლება მას (ამას ალბათ, დრო გვიჩვენებს), მაგრამ პირადად მე საკუთარ თავს მათ რიცხვს ვერ მივაკუთვნებ. და არა იმიტომ, რომ მნიშვნელოვანი ქონების პატრონი ვარ, ანდა „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ საქმოსნებისადმი მაქვს განსაკუთრებული სიმპატია...

სხვათა შორის, რაც შეეხება საქმოსნებს, „არაშრომითი“ კუპიურების გამოცვლამ ისინი ყველაზე ნაკლებად აიღლვა, რადგან თავიანთი ქონების ძირითადი ნაწილი მათ კარგა ხანია, იმაში დააბანდეს, რასაც ინფლაცია ვერაფერს დააკლებს — უძრავ ქონებაში, ძვირფასეულობაში, საყოფაცხოვრებო ფეფუნების საგნებში და, რა თქმა უნდა — მრავალგზის უფრო მყარი კურსის მქონე უცხოურ ვალუტაში. ასეთი ადამიანებისათვის რამდენიმე ათასი მანეთიც კი დიდი არაფერი დანაკარგია და მას ადვილად გადაიტანენ. რაც შეეხება დანარჩენებს... არ ვიცი, რას ატყობინებენ დღეს პრეზიდენტს მისი თანაშემწეები. იქნებ ამჯერადაც არ ღალატობენ ძველისძველ საბჭოთა ტრადიციას და მხოლოდ იმას ამბობენ, რაც „უზენაესს“ სმენას ეამება — ბოლო ბრძანებულება უდიდესი აღფრთოვანებით იყო აღქმული, მე კი ტკივილით ვუცქერი საბჭოთა ადამიანს, რომელსაც აგერ უკვე მერამდენედ აგრძნობინეს. თავისი უსუსურობა და დაუცველობა იმ ხელისუფლების წინაშე, რომელიც თავად აირჩია, მერამდენედ გამწარეს, ზნეობრივი საყრდენი გამოაცალეს მას. ჩვენ მივეჩვიეთ უსასრულო რიგებში დგომას, მაგრამ დაფიქრდით — რისთვის ვდგავართ ამჯერად? იმ ფულისთვის, რომელიც ჩვენი შრომის საზღაურია, შრომისა, რომელიც საზოგადოებისათვის გაგწეთ, მაგრამ ჯერ არანაირი კომპენსაცია არ მიგვიღია. გამოდის, რომ ჩვენ ამ ბანკნოტებს, როგორც ხელწერილს, თამასუქს, ისე გვაძლევდნენ, ახლა კი უკან გვართმევენ, რადგან სპეკულაციას, კორუფციას და კონტრაბანდას ვერ გაუმკლავდნენ.

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც საბოლოოდ მოშლილია ფულადი მიმოქცევა. და ეს სულაც არ მომხდარა უძრაობის წლებში. მის მერე მოხდა. მიზეზი კი ეკონომიკაში სანახევრო ღონისძიებები, პოლიტიკაში რადიკალური გარდაქმნების შიში და ძველი აპარატის სტრუქტურებისათვის ხელისუფლების ბერკეტების შენარჩუნების სურვილი იყო. არადა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ იძლეოდნენ ქვეყნის წამყვანი ეკონომისტები ამ ავადმყოფობასთან ბრძოლის რეცეპტებს. მაგრამ ყველაფერს უარი ეთქვა, ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ იქნა დაყენებული, რადგან კომუნისტური „ჯადოქრობის“ ატრიბუტები კვლავ ყველაფერზე ფასეული აღმოჩნდა, ძალზე. ბევრ ადამიანს აქვს დღეს ხელზე თავისუფალი ფული. და იმიტომ კი არა, რომ ძალზე ბევრს შოულობს, უბრალოდ, ვერაფერში ხარჯავდა და ხარჯავს მას. ეს ფული ადამიანებს სულ საფულეში აქვთ შენახული, რადგან აგერ უკვე მერამდენე წელია, ერთი იმედითღა ვცოცხლობთ: „იქნებ მოხდეს და რამე გამოიტანონ გასაყიდად?“ ნებისმიერი პროფესიონალი ეკონომისტი გეტყვით, რომ მოსახლეობის ხელში მყოფი მსხვილი თანხა დეფიციტურ ეკონომიკის ნიშანიაო და ამ მდგომარეობის გამოსწორების მრავალ საშუალებასაც შემოგთავაზებს. ერთი მათგანი ასეთია — მივცეთ თავისუფლება იმათ, ვისაც შეუძლია საქონლის წარმოება, ვისაც საამისო ჩვევაც აქვს და საშუალებაც. ანდა სამომხმარებლო ბაზარზე ჩვენთვის არატრადიციული საქონელი გავიტანოთ, მაგალითად,— მიწა. მაგრამ რას ბრძანებთ, ხომ გვაგრძნობინეს, არავითარი კერძო საკუთრებაო! სამაგიეროდ სხვა საშუალება გამონახეს, კუპიურები შეცვალეს და ამ გზით გადაწყვიტეს ქვეყანაში არსებული ფულადი მასის შემცირება, აქაოდა ეს ყველაფერი ქვეყნის ეკონომიკის გასაჯანსაღებლად კეთდებაო.

დარწმუნებული ვარ, მავანი, ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავს, მუშტს დაპკრავს მაგიდას: სიცრუეა! ხელფასზე მცხოვრები პატიოსანი ადამიანები ოდნავადაც არ დაზარალდებიანო! ვფიქრობ, სულ რაღაც რამდენიმე დღეში ჩვენ სწორედ რომ საწინააღმდეგოს არა ერთ დასტურს მივიღებთ. განა შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ტრადიციული საბჭოთა უწესრიგობა, ჩინოვნიკური მოუქნელობა, ზოგან კი ჩვეულებრივი „აბოტაჟიც? მავანს და მავანს, ჩანს, ძალიან სურდა საზოგადოებრივი უკმაყოფილების მაჯისცემის მომატება, რომ ამის ფონზე უფრო გადვილდებოდა მორიგი ეროვნული ხსნის კომიტეტის შეთითხნა... ამ სტრიქონებს ფულის გამოცვლის მეორე დღის ბოლოს ვწერ. ტელეფონი გაუთავებლად რეკავს: სადღაც შემხახველი სალაროა დაკეტილი, სადღაც ფოსტა აცხადებს უარს ფულის გამოცვლაზე, სადღაც არავინ იცის, ვინ და როგორ უნდა გამოწეროს ბანკნოტების მიღების ცნობა, სადღაც კიდევ ახალი ბანკნოტები არ მიუღიათ და ა. შ. გამოვა კი აქედან რამე? არავინ უწყის. ჯერჯერობით კი ჩვენს საყოფაცხოვრებო სირთულეებს კიდევ ერთი დაემატება — როგორ შევინარჩუნოთ ის მაინც, რისი ჩაყლაპვაც ჯერ ვერ მოასწრო სამამულო ინფლაციამ.

ნებისმიერი გონიერი იდეის დაყვანა შეიძლება აფსურდამდე. როგორც ჩანს, სპეკულაციის, კორუფციისა და კონტრაბანდის, წინააღმდეგ ბრძოლა იმავე სცენარით წარიმართება, როგორც ცნობილი ანტიალკოჰოლური ბატალია: — ასევე ვერ მიაღწევს შედეგს; სულ სხვა სამიზნეებს მოხვდება და საბოლოოდ დასრულდება პრეზიდენტის რწმუნებებით, რომ ხელმძღვანელობას სულ სხვა ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ ადგილებზე გადახრები მოხდაო. ჩვენ კი კვლავ ვერასდროს გავიგებთ, თუ ვინ ჩაიფიქრა და განახორციელა ძორიგი აბსურდული იდეა.

პოლიტიკაში არსებობს ცნება— „ნდობა ხელისუფლებისადმი“. როგორც ჩანს, ჩვენში მას არც „ზემოთ“ და არც „ქვემოთ“ აღარავინ იხსენებს. დღეს ჩვენ პოლიტიკური პირმოთნეობის პირობებში ვცხოვრობთ: ხელისუფალნი აძლევენ ხალხს დაპირებებს და თავიდანვე იციან, რომ მათ არ შეასრულებენ. ხალხი ისმენს ამ დაპირებებს და თავიდანვე იცის, რომ მოტყუებული დარჩება. „ქვემოთელებს“ „ზემოთელების“ არ სჯერათ. „ზემოთელებს“ „ქვემოთელების“ აზრზე დაყრდნობის ეშინიათ — აი, ამაშია გარდაქმნის კრიზისი, რომელიც ხელმძღვანელობის უნებისყოფობამ და წინააღმდეგობრიობამ გამოიწვია.

ჯერ მელანიც არ შეშრობოდა ბრძანებულებას, რომლის მიზანიც შემხახველ სალაროებში ფულის მიზიდვა იყო, რომ მოსახლეობის ანაბრები გაყინეს. ჯერჯერობით ამბობენ, ნახევარი წლითო, მაგრამ არავის სჯერა, რომ ვადა არ გადაიწევს. რადგან, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ამ დროში ეკონომიკური სიტუაცია ძნელად თუ გაუმჯობესდება და საერთოდაც, რა არის 500 მანეთი... კომერციულ მაღაზიაში ამ ფასად ფეხსაცმელსაც კი ვერ იყიდი. გაკეშვიდებენ, ყველაფერი გადარიცხვით მოხდებაო. მაგრამ ვინ და როდის მოაწესრიგებს ამ საქმეს? განა ჩვენში დროულად და ზუსტად კეთდება რამე, რომ ეს გაკეთდეს? და თუნდაც დანაპირები შესრულდეს, ის ხომ მხოლოდ სახელმწიფო ვაჭრობის სფეროს მოიცავს. საბაზრო ვაჭრობას რალა ვუყოთ? ანდა კერძო მომსახურების სფეროს? ერთი ცხადია — მიღებული გადაწყვეტილება ან საბოლოოდ დაღუპავს ეკონომიკის ამ სფეროებს, ან არადა ისე დაამახინჯებს მათ, რომ მსგავსი ნანახი არ გექნებათ.

ერთი თვის წინათ ჩვენმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ უახლოეს დროში აღმასრულებელი ხელისუფლება რადიკალურად გარდაიქმნება, ხოლო მთავრობაში ახალი, თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანები მოვლენო... მერედა სად არიან ისინი? უკანასკნელი დანიშვნები უმაღლეს პოსტებზე ხომ სრულიად საწინააღმდეგოს ადასტურებენ: ყველა ისინი ძველი მთავრობის, უფრო მეტიც — ძველი პარტიულ-სახელმწიფოებრივი აპარატის — უბრალო ჩრდილებს წარმოადგენენ. ალბათ ამიტომაცაა, ტრადიციული სახაზინო სისტემის ასეთი თავდასხმები 50 და 100 მანეთის ღირებულების კუპიურებზე, რომლის არსიც ერთშია — რაც შეიძლება მეტი ფული ამოიღონ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, საფუძვლიანად გამოფერთხონ იმათი საფულეები, ვისაც ამის გარეშეც არაფერი აქვს. და „ჩრდილოვან ეკონომიკასთან“ ბრძოლის არავითარ რეტუშს არ შეუძლია ამის დაფარვა. ახალი სახელმწიფო ცოცხი ძველებურად ჰგვის — ისევ იმ ნაგავს ტოვებს და ისევ იმ მტვერსა და ბუღს აყენებს.

მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთ სერიოზულ არგუმენტს საზღვარგარეთ დაგროვილი დიდძალი საბჭოთა ფული წარმოადგენს. მაგრამ როგორ მოხვდა იქ ეს ფული? ხელისუფალნი ამ კითხვებზე პასუხის გაცემას რატომღაც თავს არიდებენ და საუბარი ვიღაც მითიურ კომერსანტებსა და კოოპერატორებზე გადააქვთ. მაგრამ იქნებ სჯობდეს, დიდკაცთა კაბინეტებში შეგვეხედა და გვენახა, თუ რა ხდება იქ? იქიდან ხომ არ მოდის გადაწყვეტილებები? მაგრამ ეს საშიშია. ბევრად უფრო ადვილია ახალი АНТ-ს, შექმნა (რომელთაც ადვილად დააკისრებ პასუხისმგებლობას ქვეყანაში შექმნილი ქაოსის გამო) და შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელობაში მათი დემოკრატიული მფარველების დაებნა.

ის, რაც დღეს პოლიტიკასა და ეკონომიკაში ხდება, ერთს მოწმობს: ქვეყნის ხელმძღვანელობა საბოლოოდ იხრება მარჯანიგ. შევარდნაძის, ბატაკინის, იაკოვლევის, პეტრაკოვის, შატალინის წასვლით დაიშალა ეგრეთ წოდებული მარცხენა ცენტრი, ელცინისა და ბალტიისპირეთის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია კი ერთ მიზანს ემსახურება — როგორმე გათიშოს დემოკრატიული ფრთა. სკკპ გამოდის ჩრდილიდან, სადაც მთელი გასული წელი იჯდა. ჩვენ სერიოზული გარდაქმნების ზღურბლზე ვდგავართ, გარდაქმნებისა, რომლებიც ფორმით იქნებ ახალიც, მაგრამ შინაარსით ტკივილამდე ნაცნობია.

პაველ ვოშჩანოვი,
„კომსომოლსკაია პრავდას“ მიმომხილველი.
1991 წლის 26 იანვრის „კომსომოლსკაია პრავდა“.

მდგომარეობა

ცხინვალში

საქართველოს მილიციას დაუბრუნდა გატაცებული ტაბელური იარაღი. ორივე მხარე შეთანხმდა, რომ შეწყდება სროლა.

ამჟამად ეს პირობები სრულდება, მიმდინარეობს პატრულირება, რომელსაც ახორციელებენ საქართველოს მილიცია და სსრკ შინაგანი ჯარის ნაწილები. მესამე დღეა, არ ისმის სროლა, არ მოხდარა რაიმე მნიშვნელოვანი ექსცესი. მდგომარეობა ქალაქში თანდათანობით სტაბილური ხდება.

მაგრამ კვლავ გრძელდება არასასიამოვნო ფაქტები: 29 იანვრის ღამეს 8 ივნისის ქუჩაზე დაიწვა საცხოვრებელი სახლი, მეორე ღამეს — 30 იანვარს — სოფელ თამარაშენსა და ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწვა შვიდი სახლი, როგორც ქართველების, ასევე ოსების, ცხადია, მოქმედებენ ძალებიც, როლებიც დაინტერესებულნი არ არიან მდგომარეობის სტაბილურობით, არ სურთ მილიციამ ამოიღოს ტაბელური იარაღი მოსახლეობიდან და ექსტრემისტებისაგან, უფრო აქტიურად წარმართოს მომხდარ დანაშაულობათა გამოძიება.

არ არის გამორიცხული, ამას აკეთებდნენ პროვოკატორები, ახ ერთმანეთთან „შეკრული“ სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

მორიგი წარმატება

შესანიშნავად დაიწყეს ახალი სეზონი ქართველმა ძიუდოისტებმა. მინსკში დამთავრებულ ხალხთა მეათე სპარტაკიადაზე საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავა და უკან ჩამოიტოვა რუსეთის ფედერაციისა და ბელორუსიის საკმაოდ ძლიერი გუნდები. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ ყობა კურტანიძე (95 კგ), დავით ხახალეიშვილი (95 კგ-ზე ზევით) და გურამ მოდებაძე (65 კგ).

ვერცხლის მედლები წილად ხვდათ ვლადიმერ დგებუაძეს (71 კგ) და დავით ბაგაურს (86 კგ), ხოლო ბრინჯაოსი —ბათო ჯიქურს (78 კგ) და ამირან ტოტიკაშვილს (60 კგ). აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა ამირან ტოტიკაშვილმა შეჯიბრების სტარტზევე ტრავმა მიიღო, მაგრამ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე მაინც გააგრძელა ბრძოლა და მისი მესამე ადგილი წარუმატებლობად კი არა, არამედ ნამდვილ ვაჟკაცობად და წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

სპარტაკიადის ტურნირის პარალელურად მიმდინარეობდა შეჯიბრება სპორტსახკომის პრიზზე, შემდეგ კი ამ ორივე ტურნირის პრიზიორები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საბჭოთა კავშირის 1991 წლის ჩემპიონობის გამოსავლენად. სასიხარულოა, რომ საქართველოს ნაკრების წევრებმა აქაც გამოიჩინეს თავი და სამი ოქროს მედალი მოიპოვეს. თავი ისახელეს ყობა კურტანიძემ, დავით ხახალეიშვილმა და საქართველოს 1990 წლის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ქართულ ჭიდაობაში გიორგი გაჩეჩილაძემ (86 კგ). ვერცხლის მედლები მოიპოვეს კახა ქურასბედიანმა (60 კგ), გერასიმე ხაბულიანმა (65 კგ), ვლადიმერ დგებუაძემ (71 კგ) და ჯონდო დაბრუნდაშვილმა (95-კგ-ზე ზევით). აი, ასეთი ტრიუმფით დაიწყო წლევანდელი სეზონი საქართველოს ვაჟთა ძიუდოისტთა ნაკრებმა, რომლის სათავეშიც დგას ახლო წარსულში ჩვენი სახელოვანი ფალავანი, ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი.

ვიზების სათარგმნელად და ანკეტების შესაძენად

გთხოვთ მიმართოთ ფირმა „ზევსს“, რომლის ადგილსამყოფელიც გადატანილია პეტრიაშვილის ჩიხიდან პეტრიაშვილის ქ. № 3-ში. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში. ფირმა „ზევსი“ თქვენ მიგიღებთ ყოველდღე, დასვენების დღეების ჩათვლით, 9-დან 21 საათამდე.

გთხოვთ გვეწვიოთ.

ხალვაშრდა ვერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მიხადები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების კონსულტაცია — 99-00-49.

პაზეთი გაფორმდა კომპიუტერ ხელოვნურ ალმაგებულ, ალმაგებულ, შაბალონ.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ეროვნულ-გაზეთების გამომცემლობა „ხამშობლოს“ სტამბა, თბილისი, ს. კოტლავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15

Наш индекс 66400

რედაქტორი ვარლამ ბალარაკიშვილი

რედაქციის მისამართი ქ. თბილისი — 380096. ს. კოტლავას ქ. № 14.